

შპს ბიდო აუდიტი

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძვლები	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	7
4. ამონაგები	8
5. გაყიდვების თვითღირებულება	8
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8
7. ინვესტიციები	8
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9
9. ფული და ფულის ეკვივალენტები	9
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10
11. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	10
12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	11
13. პირობითი ვალდებულებები	11
14. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	11

შპს ბიდიო აუდიტი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	4	5,910,307	7,070,666
გაყიდვების თვითღირებულება	5	(4,151,902)	(4,383,220)
საერთო მოგება		1,758,405	2,687,446
სხვა შემოსავალი / (ხარჯები)		7,713	(304,948)
კომერციული ხარჯები		-	(20,161)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(1,534,468)	(1,655,099)
საექვო ვალების რეზერვი	8	(120,980)	(17,109)
საოპერაციო მოგება		110,670	690,129
ფინანსური შემოსავალი		72,572	106,087
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი		(231,569)	(140,429)
მოგება დაბეგვრამდე		(48,327)	655,787
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(341,213)
წლის მთლიანი სრული მოგება / (ზარალი)		(48,327)	314,574

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 15 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

მმართველი პარტნიორი



ზურაბ ლალაშავილი

ფინანსური მენეჯერი



შორენა ზუპაძე

7 - 14 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ზიდო აუდიტი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ინვესტიციები	7	45,250	45,250
ძირითადი საშუალებები		4,634	5,926
არამატერიალური აქტივები		7,111	34,858
		56,995	86,034
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები		1,582	1,490
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	2,131,077	3,830,204
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	2,082,159	3,142,801
		4,214,818	6,974,495
სულ აქტივები		4,271,813	7,060,529
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	1,027,375	1,435,239
გადასახდელი დივიდენდები		2,243,022	1,575,547
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,270,397	3,010,786
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		32,000	32,000
გაუნაწილებელი მოგება		969,416	4,017,743
სულ კაპიტალი		1,001,416	4,049,743
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		4,271,813	7,060,529

შპს ბიდიო აუდიტი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	რეზერვები	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი	32,000	-	5,276,085	98,400	5,406,485
წლის სრული მოგება	-	-	314,574	-	314,574
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-	-	(98,400)	(98,400)
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	(1,572,916)	-	(1,572,916)
2021 წლის 31 დეკემბერი	32,000	-	4,017,742	-	4,049,742
წლის სრული ზარალი	-	-	(48,327)	-	(48,327)
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-	-	-	-
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	(3,000,000)	-	(3,000,000)
2022 წლის 31 დეკემბერი	32,000	-	969,416	-	1,101,416

7 - 14 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ბიდიო აუდიტი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	(48,327)	655,787
კორექტირებები:		
ფინანსური (შემოსავალი) / ხარჯი	(72,572)	(106,087)
წმინდა (მოგება)/ზარალი საკურსო სხვაობიდან	231,569	140,429
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული (მოგება) / ზარალი	1,123	(30,954)
საექვო ვალების რეზერვის ცვლილება	120,980	17,109
ცვლელა და ამორტიზაცია	27,747	178,657
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	260,520	854,941
სამუშაო კაპიტალის ცვლილება		
მარაგების (ზრდა) / კლება	(92)	3,530
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა) / კლება	1,513,344	2,332,108
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა / (კლება)	(404,420)	(539,292)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,369,352	2,651,287
გადახდილი მოგების გადასახადი	-	(341,213)
მიმდინარე საბანკო ანგარიშზე მიღებული პროცენტები	72,572	106,087
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,441,924	2,416,161
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	(86,065)
ფულადი სახსრები ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	169	43,300
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(21,242)
კაპიტალის ცვლილებები	-	(98,400)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო	169	(162,407)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	(2,332,525)	(2,202,158)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(2,332,525)	(2,202,158)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება)	(890,432)	51,596
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	3,142,801	3,231,634
საკურსო სხვაობის ეფექტი	(170,210)	(140,429)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	2,082,159	3,142,801

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ბიდიო აუდიტი (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია (ID: 205145403) საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (დაარსდა 1999 წელს, ხოლო ხელახალი რეგისტრაცია გაიარა 2016 წელს). კომპანიის სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია ილია ჭავჭავაძის გამზირი 34, თბილისი, საქართველო, ხოლო ფაქტიური მისამართია თარხნიშვილის ქუჩა #2, 0179, თბილისი, საქართველო. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მარწმუნებელი და სხვა საკონსულტაციო მომსახურება.

2021 წლის აპრილში მოხდა რეორგანიზაცია, შპს ბიდიო აუდიტის მფლობელებმა დააფუძნეს ახალი სათაო საწარმო - შპს ბიდიო საქართველო, რომელიც გახდა კომპანიის 100%-იანი მფლობელი, ხოლო შპს ბიდიო აუდიტის შეიღობილი საწარმოები გადაეცა ახალ სათაო საწარმოს - შპს ბიდიო საქართველოს. აღნიშნული რეორგანიზაციის შედეგად არ შეცვლილა შპს ბიდიო აუდიტის საბოლოო მფლობელები და კომპანიიდან შეიღობილი საწარმოების გასვლის ეფექტი აისახა პირდაპირ კაპიტალში.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი და მკონტროლებელია შპს ბიდიო საქართველო.

2. მომზადების საფუძვლები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის, ასევე, მოითხოვს ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული. მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს იმ ქვეყნის ვალუტას, სადაც ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა) - ქართულ ლარს. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანიის ბიზნესი საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე ისეთი არსებითი გაურკვევლობა, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს კომპანიის უნარზე გააგრძელოს საქმიანობა. შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს უწყვეტობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე. მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივები გაუფასურებაზე ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივები ითვლება გაუფასურებულად, თუ არსებობს ობიექტური რწმუნება იმისა, რომ ერთი ან მეტი ფაქტორის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის წარმოქმნის შემდეგ და მომავალში მისაღებ ფულად სახსრებზე აქვს უარყოფითი გავლენა, აღნიშნული კომპანიას ავალდებულებს შეაფასოს მომავალში მისაღები ფულადი სახსრები, მეორეს მხრივ, აღნიშნული შეფასებები არ არის ბოლომდე სანდო, რადგან მოიცავს მომავალ დაშვებებს. მნიშვნელოვანმა და განუკერძოებელმა ცვლილებებმა, იმ დაშვებებსა და შეფასებებში, რომლებიც მონაწილეობენ გაუფასურების დაანგარიშებაში, შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი სხვაობა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციისგან.

4. ამონაგები

აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება
არამარწმუნებელი მომსახურება

2022	2021
5,530,275	5,803,896
380,032	1,266,770
5,910,307	7,070,666

5. გაციდების თვითღირებულება

დანახარჯები პერსონალზე
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები
შეძენილი მომსახურებები
სხვა პირდაპირი ხარჯები

2022	2021
(3,337,901)	(3,780,276)
(230,543)	(161,393)
(570,975)	(407,764)
(12,483)	(33,787)
(4,151,902)	(4,383,220)

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

შეძენილი მენეჯმენტის სერვისი*
ინფორმაციული უსაფრთხოების და პროგრამული
უზრუნველყოფის ხარჯები
ოფისის იჯარა
კომუნალური ხარჯები
პროფესიული დახმევა
ძირითადი საშუალებების იჯარა

2022	2021
(905,969)	(848,136)
(229,118)	(284,637)
(205,753)	(320,059)
(78,399)	(104,309)
(57,703)	(50,828)
(57,526)	(47,130)
(1,534,468)	(1,655,099)

*კომპანია სათაო საწარმოსგან იღებს კომპლექსურ საოფისე ადმინისტრაციული საქმიანობის მომსახურებას. აღნიშნული მომსახურება თავის თავში მოიცავს ოფისის და საოფისე აღჭურვილობის შენახვის მომსახურებას, საბუღალტრო მომსახურებას, ადამიანური რესურსების მართვის, მარკეტინგული, ბრენდის და საზოგადოებასთან ურთიერთობის, შესყიდვების და ოფისის უზრუნველყოფის, შესაბამისობის, ხარისხის მართვის და სხვა ადმინისტრაციულ მომსახურებებს.

7. ინვესტიციები

2016 წელს კომპანიამ შეიძინა პოლდინგური კომპანია BDO Eurasia B.V.-ში 5%-ის ოდენობის წილი. ინვესტიცია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად აღირიცხება თვითღირებულებით.

შპს ბიდიო აუდიტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ლარში)

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2022	31.12.2021
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	1,877,716	3,026,597
სხვა მოთხოვნები	29,248	168,153
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(123,189)	(58,227)
არაფინანსური აქტივები		
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	17,660	155,728
სახელშეკრულებო აქტივები	308,275	514,292
საგადასახადო აქტივები	21,367	23,661
	2,131,077	3,830,204

ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში

	2022	2021
რეზერვის ნაშთი 1 იანვრისთვის	(58,228)	(113,717)
უიმედო რეზერვის ჩამოწერა	28,512	64,775
აღდგენილი რეზერვები	-	2,033
წლის განმავლობაში შექმნილი რეზერვები	(95,788)	(15,178)
საკუროს სხვაობის ეფექტი	2,315	3,859
რეზერვის ნაშთი 31 დეკემბრისთვის	(123,189)	(58,228)
 ჩამოწერილი მოთხოვნები	(26,137)	(3,966)
აღდგენილი წინა პერიოდის უიმედო ვალები	945	-
 საექვო ვალების (ხარჯები) / შემოსავალი	(120,980)	(17,109)
პერიოდის საექვო ვალების ხარჯები	(121,925)	(19,142)
პერიოდის შემოსავალი საექვო ვალების ამოღებით	945	2,033

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2022	31.12.2021
ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	1,046,597	2,060,432
ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში	1,035,562	1,082,369
	2,082,159	3,142,801

კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წელს მიმდინარე საბაკო ანგარიშზე დაერიცხა საპროცენტო შემოსავალი 72,572 ლარის ოდენობით (2021 წელს - 106,087 ლარი).

ფული რეზიდენტი ბანკში 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით განთავსებული იყო მხოლოდ სს „საქართველოს ბანკში“.

შპს ბიდიო აუდიტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ლარში)

10. საეკურო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2021
ფინანსური ვალდებულებები		
საეკურო ვალდებულება	472,175	734,142
ვალდებულება თანამშრომლების მიმართ	369,539	180,679
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	185,661	520,418
	1,027,375	1,435,239

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

11. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	კავშირის სახე	დაკავშირებული მხარის ბალანსი	სულ
ამონაგები		6,180	5,910,307
არამარწყმუნებელი მომსახურება	მეკავშირე საწარმო	6,180	
გაყიდვების თვითღირებულება		793,105	4,151,902
სწავლა და ტრენინგი	მეკავშირე საწარმო	25,121	
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები	მეკავშირე საწარმო	230,543	
შესყიდული მომსახურებები	მეკავშირე საწარმო	536,968	
სხვა პირდაპირი ხარჯები	მეკავშირე საწარმო	473	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		1,472,052	1,534,468
ოფისის ოჯარა	მეკავშირე საწარმო	205,753	
კომუნალური ხარჯები	მეკავშირე საწარმო	78,032	
პროფესიული დაზღვევა	მეკავშირე საწარმო	57,703	
ოჯარიტ აღებული ძირითადი	მეკავშირე საწარმო	56,232	
სამუდამების ცვეთა			
ინფორმაციული უსაფრთხოების და	მეკავშირე საწარმო	234,830	
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები			
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	მეკავშირე საწარმო	839,502	
საეკურო და სხვა მოთხოვნები		1,027,058	2,131,077
საეკურო მოთხოვნები	მეკავშირე საწარმო	997,394	
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	მეკავშირე საწარმო	17,064	
სხვა მოთხოვნები	მეკავშირე საწარმო	12,600	
საეკურო და სხვა ვალდებულებები		433,892	1,027,375
საეკურო ვალდებულება	მეკავშირე საწარმო	433,892	

უმაღლესი ხელმძღვანელობის მოკლევადიანი სარგებელი 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის შეადგენს 144,940 ლარს.

12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2023 წლის მარტში, კომპანიამ გაყიდა ჰოლდინგური კომპანია BDO Eurasia B.V.-ში 5%-ის ოდენობის წილი.

13. პირობითი ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

14. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსი		
	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი სტერლინგი
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040	4.1737
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844	3.2581

ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. მოთხოვნებს არ ერიცხება სარგებელი, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებებს, რათა განსაზღვროს, ხომ არ არსებობს აქტივის გაუფასურების რაიმე ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების შემთხვევაში გაუფასურების ზარალი აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (მოიცავს გარიგების ხარჯებს). სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება სარგებელი. პროცენტის ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე, ფულს გზაში და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, ასევე 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივიან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15%, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არა-ფიზიკურ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

კომპანიის დამფუძნებელია საქართველოს რეზიდენტი საწარმო და მასზე დივიდენდის განაწილების შემთხვევაში მოგების გადასახადის გადახდა არის გათავისუფლებული.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სახელმწიფოებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

კომპანია აღიარებს მოგების გადასახადის ხარჯს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გაცემა, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის მოხდა გამოცხადება.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ,

განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნაში.

ამონაგები

შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავლები წარდგენილი ფასდაკლებების გამოკლებით, კომპანია ამონაგებს აღიარებს, როცა შესრულებულია შემდეგი პირობები:

(ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

(ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

(გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და

(დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

საოპერაციო ოჯარა

კომპანია ქირაობს საოფისე ფართს თავისი საოპერაციო საქმიანობის განსახორციელებლად და აკლასიფიცირებს, როგორც საოპერაციო ოჯარას. საოპერაციო ოჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით ოჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საოჯარო აქტივიდან.

თანაშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო დასაქმებულისგან.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია -

აისახება განმარტებით შენიშვნებში, იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, შესაძენ მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.